ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

საიათნოვა

კრებული

საიათნოვა

კრებული

სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ

სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ! მუდამ თან გიდევნო სუფრის მაზათა, ტანადობით ალვა განაზარდი ხარ, ალვის ხეო, რამ გაგხადა ვაზათა! ნეტავი რა უყო, რა მოვიგონო, მე შენი ზიანი არ გავიგონო, როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო, ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზათა. როდის გნახამ თვალი-იაგუნდითა. წარბები შეგეღებოს სურმა-გუნდითა? ალმასის ჯიღა ხარ ოქროს ბუდითა,სირმა ვერცხლი მოგიხდება რაზათა! ხოხობივით დაგლოლავდე ველშია, ბროლის ჩაფი დაგეჭიროს ხელშია. ნაქები ხარ შენ სუყველაფერშია, შევარდენო რამ გაქცია ბაზათა!? ვიწვი ეშხისაგან, ალი არა მაქვს, ნებით გეხვეწები, ძალი არა მაქვს, საიათნოვა ამბობს - ბრალი არა მაქვს, ნუღარ დამწვამ, ეს მეყოფა ჯაზათა!

რა ზარბაბი

რა ზარბაბი, რა ატლასი, რა ზარი ვარ, იცი განა? იას და ვარდს ვენატრები, რა ქარი ვარ, იცი განა? ნიადაგ საზი ხელში მაქვს, ნოქარი ვარ, იცი განა? შენს დედ-მამას შეუტყვია, თითონ კი არ იცი განა? მაშ არ შეგიტყვია განა? მაშ არ შეგიტყვია განა? ახლა მოდი, მოგახსენო, ქვეყანაზედ რა ვიარე: ლეილუმ ტოლი დავკარგე, მეჯნუნივით დავიარე, ბულბულივით ვარდს ვეძებდი, ავდეგ, ჭალას ჩავიარე ვარდის კვალი ვერ ვიპოვე, სულ უბრალოდ გავიარე, მზესავით პირი გაჩვენე, დამწვარი ვარ, იცი განა? ეს ჩემი გულის ნაღველი ვატყობინე ერანელთა, მაშრიყელთა, მაღრიბელთა, ხელმწიფეთა, ერთა, ბერთა, ამის მეტი რა ღონე მაქვს, თავს მოვიკლავ ტურფას გვერდთა! ხვეწნაც ასეთი იქნება? ვამბობ: მე ვარ დედისერთა! დამადნე და დამანავლე, შაქარი ვარ, იცი განა? შემოდგომა შემოვიდა, მე რაღა უკან ვიქნები?.. მანდ შენი ვარდი ამოვა, ან მოვკვდები, ან ვიქნები, შენი ნაღველი არ იყოს - ცოცხალი დიდხანს ვიქნები!.. გამიგონე, მოგახსენებ, ამაღამ შენთან ვიქნები!.. მალმალ ამბობ: ადე, წადი! სტუმარი ვარ, იცი განა!? საიათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მიშოეია! მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია, შენი უბის ბროწეულის ნამალი ვერ

მიშოვია, თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ მიშოვია, მომაქვს ზარის ხელმანდილი, ხუმარი ვარ, იცი განა?

შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ

შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ? ქვეყანაში სასაცილო შეიქენ; საითაც გაიქეც, იქით წაიქეც, ბოლოს დროსა ბედოვლათიც შეიქენ. რომელს დავაბრალო, რისაგან არი? ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი! თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული, ჭიქასავით ოქროს ყუთში დებული; ეს რა მომივიდა ახირებული? რაც მომიხდა, განუსჯელობით არი!რომელს დავაბრალო, რისაგან არი? ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი! მეფეთაგან მეჯლიშს მიწოდებული, თავადებთან პატივცემით შვებული, ალისფერის კაბით განშვენებული, ახლა ამა ძაძით გაშავებული. ესე ხვედრი ჩემი მოძღვრისგან არი. რომელს დავაბრალო, რისაგან არი? ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი! ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა? ქორი ვიყავ, ძერობა რათ მინდოდა? ერი ვიყავ, მღვდელობა რათ მინდოდა? მოდი მითხარ, ბერობა რათ მინდოდა? ვგონებ ჩემის უბედურის დღისაგან არი. რომელს დავაბრალო, რისაგან არი? ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

სამართალი მიყავ

სამართალი მიყავ, ხელმწიფე ხარო, მთელი საქართველოს გულისა ხარო! ზოგი მეუბნება: შენ მაჩა ხარო... ზოგიც უმატებს: მყრალი ჭა ხარო! შეგიძლიან გამიწყრე თუ მახარო! არ მყავს მეუღლე, არცა მძახალი, მე გლეხი ვარ მიწაზე დასახალი! მეჯლისს ზმა მოუნდა ახალახალი... ვის წინაც გავცარე გულის ხახალი, ყველამ მითხრა: ურგებელი მთა ხარო! ხელმწიფეს ვეახელ უცხოდ მორთული, საზი ხელთ მეჭირა მე გამართული! მათასავით დამაბრუნეს დართული!..ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული! - წადი, ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!.. ნათქვამია: ერთხელ მთა მთას ეცემა, ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა! შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა... ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა, - ჩემი სულიერი დედმამა ხარო! თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები, - ცოცხალი თავით ვერ

მოგშორდები! თუ მტკვარი ვერ მომსპობს - ზღვას ჩავარდები... ენით მოიმატე შენი დარდები - საიათნოვავ, ნაღველისთვინ მზა ხარო!

შუაღამის ვარსკვლავივით

შუაღამის ვარსკვლავივით ცაში ხარ, ლალის ვარდო, ყანაში ხარ, მკაში ხარ! გაზაფხულის იასავით მთაში ხარ, სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ, ზღვის პირველი ჯეირანი, რაში ხარ! განა შენა არ გყოლია მოძღვარი? რაზედ მოჰკალ ჩემისთანა საპყარი, წამლისათვის მითხრეს შენი ჯადვარი, შენსა სახეს ვერ გადმოსწერს მხატვარი, ინდოეთის ყალამის ნაყაში ხარ... ჩემი სიცოცხლე უშენოთ ძნელია, რაზედ გამათავე, რისა მქნელია?! შენი ეშხი ბორკილია, წნელია,შენ მე მხედავ! მე ვერ გნახამ - ბნელია, ბროლის ყუთში და სარკის უჯრაში ხარ! ჯიხვისავით თოვლიან მთას შაიცვლი, ღრუბელსავით სავსე წვიმას ჩაიცლი, ჯეირნივით მინდორში არ მაიცლი, ერთ წუთაზედ ათას ფერად გაიცვლი, ვინც რომ გნახამს, ნაღველი ხარ, ვაში ხარ! ინდის ხელმწიფისგან ოქმი მოუა, რაც რომ გვიყოს შეუძლიან, გაუა, ოქროს ხანჯლიანი კარზედ დაუა, ბროლის სინით მარგალიტი შაუა. - შე საწყალო საიათნოვავ, რაში ხარ?

დამეხსენი

დამეხსენი, ავკაცობა არ მინდა, ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა, ავი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა, ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა, მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა! მოდი, სისხლსა ნუ დამიღვრი თასითა, ნასყიდი ვარ შენის ძვირის ფასითა! გეახლები ერანელთა წესითა! შემინახე ატლასითა, ხასითა, შავი კაბა, შავი ქობა არ მინდა! ჩემი სიტყვა შენი დასაჯერ იყოს, შენი კალთა ჩემი დასაჭერ იყოს! ჩემი თავი შენი მიწა-მტვერ იყოს,

შენი ბაღი ჩემი ბაღის გვერდთ იყოს, შუაშია გადაღობა არ მინდა! გადავიდა შენი დრო საიათნოვა! რაღათ გინდა «ოხო-ხო» საიათნოვა? ყველა მეუბნება: ჰო საიათნოვა! საით მიხვალ,ჩემკენ მო, საიათნოვა, შენი

პურ-მარილის ძმობა არ მინდა!

მოდი საყვარელო

მოდი, საყვარელო, ბაღში შავიდეთ, - ბაღი კარგი, ვარდი კარგი, ხე კარგი! სიკვდილამდინ გარეთ აღარ გავიდეთ, - სახე კარგი... მთვარე კარგი... მზე კარგი! დავლიოთ ღვინო, - არაყი ჩვენია, მეჯლის-საზანდარი, საღი ჩვენია! გავაგდოთ მებაღე, ბაღი ჩვენია! - ლხინი კარგი... დრო კარგი... დღე კარგი! მაილია ვარდი, - არსად აბია, - ბულბული სწუხს, რომ ყვავილს უზის ჭია! ხეივანში გადაშლილა სულ ია, წყალი კარგი... კვალი კარგი... მწე კარგი! ტანთ გიხდება საწვიმარი აისი,ალვის ხესა გამოუსხამს ყაისი! ყველა ჩივის, რომ დავკარგეთ მაისი, სული კარგი... გული კარგი... თვე კარგი! მე საიათნოვას ხმაში მაქვს ძალი! დაბძანდი, დაგიგო ხორასნის ხალი! მიჯნურმა ღობიდამ არა გკრას თვალი, საზი კარგი... შენ კარგი... მე კარგი!..

ბაღი ბულბულით ავსილა

ბაღი ბულბულით ავსილა, ვარდსა რაზი არ აკლია, აწ დაშვენდა ია-ვარდი, ზედ ლამაზი არ აკლია, უცხოდ ხარობს ასამინი, ძილს სარაზი არ აკლია, წმინდა სანთლები შამდანში, ზირანდაზი არ აკლია, მეიდანი გამართული, ქანდირბაზი არ აკლია! არ გეწყინოს, ჩემო კარგო, სიტყვაშიაც იგავი მაქვს, რომელ ერთხელ გენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს? მუდამ შენს სამსახურში ვარ, არა სთქვა პირი შავი მაქვს, სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზაზი არ აკლია! რახან სოფელს ასე მოსდევს, ულხენოთაც არ იქნება. შენი ქება და დიდება უენოთაც არ იქნება!.. მარანისა ტუმბო სავსე უდენოთაც არ იქნება, თუ მეჯლისი მორთულია, უშენოთაც არ იქნება,ტრიალებს ოქროს თასები, ლეილუმ ნაზი არ აკლია! ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ-ზაალისათვინა, ნიშნობა და ქორწილიცა თავისი ქალისათვინა! - რაც რომ გადამხდა თავზედა, სულ იმ მაღალისათვინა: ლეილუმის ქამანჩისა დოულ-ყავალისათვინა: გარს უსხედან მომღერალნი, სანთურ-საზი არ აკლია! ტურფა ტანი ლერწამს

გიგავს - მორთულხარ ქირმანშალშია, კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია, ფალევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია, თუ ჩვენსა არ მობძანდები, წავიდეთ სამართალშია... საიათნოვას ხემწიფე, ყენ-შაჰბაზი ირაკლია!

გიხდება ზარი

გიხდება ზარი, ოქროს ღილი, თანა შენია, ერან-თურანი, ადრიბეჟან განაშენია. მოდი, ნუ მომკლამ, ხელთ გიჭირავს დანა შენია, ბულბული სტირის, დაგიცია მანა, შენია, მიჯნურსა სძინავს, შესმენია ნანა შენია... გაშლილა ბაღი, გამობძანდი მოახლებითა! ბულბული ჰგალობს, მოგახსენებს: «დილა ნებითა!» თვალად ლამაზო, რამ გაგზარდა ტან-დიდებითა? ბევრი მოგიკლავს, მეც მომღალე შენის ქებითა... ლექსები კარგი ასორმოცი ხანა შენია. ბროლის მინას და ბროლის სურას გიგავს ყელია! რად გინდა სარკე? სახე სავსე მთვარე მთელია. ზილფებისათვის ხელთ გიჭირავს მაკრატელია,მე რაზედა მკლავ, რა გერჩოლე, რა სახელია, ან რაზედ მომკლამ, ჩემი თავი განა შენია!? ჰე, უსიკვდილოდ არ იქნება ჩემი მორჩომა, სულ ქვეყანა რო ჩემი იყოს, არა მაქვს ნდომა! ჰე, საყვარელო, უცხოდ გშვენის შენ ეგ მორთომა, ყალამქარისა, ატლასისა, ზარბაბის ზომა... არ მომიპარავს, მიპოვნია შანა შენია! წაღმართი სიტყვა არ ვიცოდი, ვინ მოგაჩვენა, ვინ მოგიტანა, ვინ გაჩვენა, ვარდის გაფენა? ტურფა-ზარიფო, შენსა ქებას ვერ იტყვის ენა, მო, საიათნოვავ, რა გატირებს, ვინ მოგცემს შენა? - ტახტი თოუზი ინდის მეფის ანაშენია!

სოფელსა და სოფელს შუა

სოფელსა და სოფელს შუა მთას ამბობენ, მართალია. შენს ბაღჩაში ვარდი ჰყვავის, მას ამბობენ, მართალია. ბულბულები თქვენის ბაღის გზას ამბობენ, მართალია. ჩინი-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია. ბევრი ქვეყანა მინახავს, ზღვას ამბობენ, მართალია.შეგცოდე, ხელი გაწვდინე - დამჩხვლიტე მაყვალივითა. თითებზედ სისხლი ჩამომდის, ფერწითელი ლალივითა. მე ამ ნაღველს ვერ გაუძლებ, გული მაქვს

მისხალივითა. რაც მოგშორდი შენ, ლამაზო, თვალები მაქვს წყალივითა. ამაში შუა მოწამე ცას ამბობენ, მართალია. შავარდენო, რათ გარჯილხარ ტყავ-გახდილი მელისათვინ? თვალები ალმასს მიგიგავს, ნისკარტი გაქვს გველისათვინ. წადი, ახალი მოძებნე, ფრთას ნუ გაშლი ძველისათვინ! რა დავჯდე და რა ვიტირო! რომელ ერთ ნაღველისათვინ! ჩემსა გარდა ოცდაორსა სხვას ამბობენ, მართალია. ვინც რომ მოვა, გიახლება, ჭკვაზე უფრო ჭკვას დასდებენ. გულს ისარსა გაუყრიან, კისერზედა ხმალს დასდებენ. ან გატყდება, ან დალპება, ხომალდივით ზღვას დასდებენ. ან ჩააგდებენ ხაროში, ზედ წისქვილის ქვას დასდებენ. ჩამსვლელი ვეღარ ამოვა, ჭას ამბობენ, მართალია. დავკარგე, ნაპირს ვერ გაველ, დამკარ ზღვისა სილასავით. ახლა შიშით დოს უბერამ, პირი დამწვი შილასავით. ნახევრამდინ ორმოში ვარ, გატეხილი ქილასავით. ახლა მაინც დამეხსენით, გავცვეთილვარ ლილასავით.საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია.

ხარ ტურფა

ხარ ტურფა საკრავი, საზებიანო! მიჯნურისა მკვლელო, ხაზებიანო, ალვის ხევ გასულო, ვაზებიანო, დაუშრელი ზღვა ხარ, მაზებიანო, ოქროს თვალში ზიხარ, რაზებიანო! ნადირში ნაქებო რაშო, ჯეირანო! ვარსკვლავსავით ბრწყინავ ლალო, მარჯანო, უსანთლოდ ანათებ, ბროლის შამდანო, ხმალი ხელთ გიჭირავს, ერეკლე-ხანო! ფეჰლის ფანჯის ოინბაზებიანო! ანათებ ქვეყანას, მთვარე და მზე ხარ!.. ნეტავი არ დაღამდე, რა კაი დღე ხარ, შტოები ასული, რა ტურფა ხე ხარ,ტრიალი მინდორი, რა შავი ტყე ხარ, შიგ ნადირი სავსე ბაზებიანო!.. გაზაფხულის ია ამოსული ხარ! ასლი საყვარელი თაიგული ხარ... ერთგული მოსამსახურე, ყული ხარ, საიათნოვავ! რა ყარიბ ბულბული ხარ! დილ-დილით ჭიკჭიკებ, ნაზებიანო!

ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი

ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი! მტკვარი ცხრილით როგორ

უნდა აირწყოს? ქარი რას დააკლებს ქვითკირის კლდესა, თუ გინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს! თუ გინდ გაათეთრო სპილენძის თასი, სპილენძი ერთია, ვერცხლი - ათასი! ჭიქას არ ედება ალმასის ფასი, თუ გინდ ოქროს ბეჭედშიაც გაიწყოს! ზოგზოგი კაცია ეშმაკის მუშა; ეშმაკის ნაშენი ღმერთმან დაფუშა... გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,რა გინდა მაღლა თახჩაშიაც შაიწყოს! თუ გინდ თევზი დაჰკლა, - არ დაიყვირებს. ფეხთ ჰინის დადება რათ უნდათ ვირებს? ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს, თუ გინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს. ნურვინ იტყვით - ეს ყმაწვილი ვინა ვარ! ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ. საიათნოვა მქვიან არუთინა ვარ. სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს.

დამიჯერე

დამიჯერე, ვამბობ, რომ უჯერავლეს, - სრულებით უბრალო რკინას იტყვიან! ხის თეფში რა გინდა ზარნიშით მოაწყონ, მაინც დასაწვავსა პინას იტყვიან! სიტყვა უნდა ერთნაირი ზოლზედა... ეშმაკია, ვინც აჰყვება ბოლზედა!.. ან ფერზედ იცნობენ, ან ფოთოლზედა, - განა ყველა ბალახს ჰინას იტყვიან? ზარბაბი გაგიცვდეს - იყიდე შალი, რეცხას ვერ გაუძლებს, ვაჰ, ხამის ბრალი! რიდეს მოუხდება ალმასი-ლალი, ოქროთ მიყენილი, მინას იტყვიან! ზოგი კაცი იტყვის - კაი გვარი ვარ,მაშინ ტირიფიც იტყვის: კვარი ვარ! საქართველოს მეფის საზანდარი ვარ, საიათნოვას-არუთინას იტყვიან!

საყვარლის ბაღშია

საყვარლის ბაღშია ჭკვა დამეკარგა, გავბრუნდი, არ იყო კარ-გაღებული. გადავხედე, დავბნდი, ვერა გავიგე... ვნახე ალვის ხენი ხელახლებული. უთხარ: "შენვე მომკალ შენა, კარგია! ავს ნუ ათქმევინებ, ენა კარგია, ღმერთმა გაგახაროს,ლხენა კარგია, მე შენს ჭირს სანაცვლოდ გადაგებული! მოდი, დამიჭირე მარჯვენა ხელი, იაგუნდ-ალმასო, ლალი ხარ ქველი! დამაცა, გითხრა ჩემი სათქმელი - შველი ხარ მინდორში გამოშვებული! მე ხონთქარი ვიყავ - ჯარი დავკარგე...სოვდაგარი ვიყავ,

ზარი დავკარგე! მზეთუნახავი - იარი დავკარგე... საიდამ ვიპოვო ზღვაში დებული? შენის ნაქცეურობით, მე გამაკვირე!.. როსტომის ხანჯალი ყელთ დამაჭირე, ავათა ვარ, მოდი, ზედ დამიტირე, თვალები გზაზედ მაქვს დაყენებული! მთვარე ხარ, თუ მზე ხარ, პირი გაქვს წმინდა, მე შენ გენაცვალე, სხვანი ნუ გინდა!.. სიყვარულით ლაპარაკი თუ გინდა, საიათნოვამ იცის სიტყვა ქებული!

ზოგ-ზოგი კაცი

ზოგ-ზოგი კაცია მეტად უღონო - ღონიერ კაცისა ძალს დაიწუნებს... ჯიბეში არა აქვს ჟანგიანი დანა, ხორასნის ჯავარდენ ხმალს დაიწუნებს! ზოგ-ზოგსა კაცსა არა აქვს ბინა - ისე დააღამებს, არ შევა შინა... ინდის-ხურმა მუხის რკო ჰგონია,ბაღში შევა, მწიფე ბალს დაიწუნებს! ზოგი კაცი ზღვაში შევა ნავათა, ბაყაყს გვერდით დაინახავს შავათა, ზოგი კაციც გარეთ გდია ავათა, სახლში შევა, როსტომ-ზალს დაიწუნებს. მეცხვარეს რად უნდა ალმასი ძველი,ოღონდ პინით ჰქონდეს ახალი ყველი! სასთუმლად ქვა ედვას, სარტყლად - საბელი... ბეგთაბეგის ქირმან-შალს დაიწუნებს. ღორი ხეზედ როგორ უნდა ავიდეს? ავი კაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს, საიათნოვა მეჯლისებში შავიდეს: ლხინი უყვარს, ყალმაყალს დაიწუნებს.

მეზობელზედ რა კაცს თვალი უჭირავს

მეზობელზედ რა კაცს თვალი უჭირავს, ის არა იქს გაცემასა-ჭამასა! ავ კაცს რაში უნდა გვარიშვილობა, - შეაგინებენ კაი მამასა! ზოგი კაცი დადის ჭიანყელასავით, გველის შხამი უძევს პირში იმ თავით! ავი კაცის ჭირი იქნება ავით - ნათქვამია, მე არ ვამბობ ამასა!.. ცუდი კაცი მკვდარივით აყუდია, ან რათ უნდა, რათა ჰხურავს ქუდია?აქლემივით ვინც რომ ტანში მრუდია, რატომ იზავს ხიდზედ კისრის ზომასა? თიხის ჯამი არ გახდება ჩინათა, მუხის ქერქი კიდევ - დარიჩინათა! საიათნოვა შეინახე ჩინათა, ვერ იშოვი იმისთანა კარგ ყმასა!

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო! მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო! დიბისა ლობდანო ბაზაზიანო, სირმა-აბრეშუმო ყაზაზიანო, თვალები, წარბები, ლამაზიანო, მე რა მაბადია, რა მაზიანო?! ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვეწება, ზოგი მეჯლისის ზმას ეხვეწება! ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება, გული მას სტირის, მას ეხვეწება,დაეხსენ ჩემს ვარდსა კრაზანიანო! შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა, შენს შემხედავს თავში რაღა ჭკვა უნდა! განა საყვარელი სხვადასხვა უნდა? სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა, გამოდი ღრუბლიდამ, მზევ ნაზიანო! მოდი, დამიჯერე, ბაღდადის წერო, ინდოეთის თუთისაებრ იმღერო!რა იქნება ერთხელ მეც დამიჯერო, ფერჰადის ბებერო, შირინის მტერო, შე ავო მიჯნურო, შე ბრაზიანო!? ვაი თუ ერთი რიგი ნარდი გასწიო, მარდი მოჰკლა და ნამარდი გასწიო, ბულბული ატირო, ვარდი გასწიო, ნეტა რომელ ერთის დარდი გასწიო ბეჩავ საიათნოვავ, თავაზიანო!